# ივერია

გაზეთი ღირს:

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს დ გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი


ტფილისი, 16 მაისს

ირლანდიისათვის ცალკე პარლამენტის მიმნიჭებელ პროექტში გლადსტონმა ერთი იმისთანა მუხლი შეიტანა, რომელიც არ ეშესაბამება ლიბერალების დედა აზრსა და მოძღვრებას და რომელიც პირველ შეხედვით აკვირვებს კაცსა. გასაკვირველი ეგ მუხლი მით უფრო არის, რომ იგი შეიტანა პროექტში იმისთანა წმინდა სისხლის ლიბერალმა, როგორიც გლადსტონია. ეს ამბავი მეტად აოცებდა ყველას და ვერავის ვერ აეხსნა. იგი მუხლი იმაში მდგომარეობს, რომ ირლანდიელთ ეძლევა საკუთარი ცალკე პარლამენტი დუბლინში და საერთო ინგლისის პარლამენტიდამ კი დათხოვნილი უნდა იყვნენ. ამ სახით ირლანდიას თავის საკუთართა საქმეთა წარმოებაში სრული უფლება და ნება მიენიჭებათ და საერთო საიმპერიო საქმეების წარმართვაში კი ხმის ნება არ ექმნებათ. აქ როგორღაც თავი ბოლოს არ ებმის. საერთო საიმპერიო ხარჯის გაწერაში, სამხედრო საქმის მოწყობილობაში, საკოლონიო პოლიტიკაში და სხვა ამისთანა საყოველთაო საქმეში ირლანდია მოვალე იქმნება დაემორჩილოს საერთო ინგლისის პარლამენტსა, სადაც არც ერთი წარმომადგენელი და მოსარჩლე არ ეყოლება. იმისთანა ქვეყანაში, როგორიც ინგლისია, სადაც არავითარი მოვალეობა, მკვიდრთათვის დადგენილი, მკვიდრთა დაუკითხავად შესაძლებელი არ არის, ეს საერთო პარლამენტიდამ გამოკლება ირლანდიელთა ჭეშმარიტის ლიბერალობის წინააღმდეგია. გამოჩენილი რადიკალი ჩამბერლენი სწორედ ამ მუხლის გამო გადუდგა გლადსტონსა და სწორედ ამ მხრით იწუნებდა მის დიდებულს პროექტსა.

ყურადღების ღირსია—აიხსნას რა მიზეზით და რა საბუთით თითქო უარ-ჰყო ამ შემთხვევაში ჭეშმარიტი დედა-აზრი ჭეშმარიტის ლიბერალობისა იმისთანა უანგარო და ლიბერალობისათვის თავ-დადებულმა კაცმა, როგორიც გლადსტონია.

მოგეხსენებათ ინგლისსა ჰმართავს ორი დიდი დასი ვიგებისა და ტორიებისა. ინგლისის სვე-ბედის გამგებელი და მმართველი პარლამენტია, რომელშიაც ინგლისის ერს თავისი წარმომადგენელნი ჰყავს არჩევანითა. ეს ორი უდიდესი დასი, რომელთაც ხელთ უპყრია თითქმის მთელის ინგლისის სვე-ბედის წარმომადგენლობა, ერთი მეორეს ებრძვის ხოლმე იმ ანგარიშით, რომ პარლამენტში ერთმა მეორეზედ მეტი მომხრე იყოლიოს, ერთმა მეორეზედ მომეტებულად თავისი კაცები დასხას. ინგლისის ერი ამ დასების მოძღვრების მიხედვით თითქმის ორ თანასწორ ბანაკად არის გაყოფილი და ამიტომაც ძნელად მოხდება ხოლმე პარლამენტში ან ერთისა და ან მეორის დასის მომხრეებმა იმდენი კაცი გაგზავნონ თვისთა წარმომადგენლად, რომ რიცხვი ერთისა გაცილებით სჭარბობდეს მეორესა. პარლამენტი თითქმის ყოველთვის ისეა შემდგარი, რომ ერთი დასი მეორეს ცოტათითა სჭარბობს. ამისთანა გარემოებაში პარლამენტში, თუ მესამე რაიმე დასია, თუნდ რიცხვით თვითვეულს ზემოხსენებულს დიდს დასზედ მცირეცა, ვისაც ეს მესამე დასი მიემხრობა, იგი მხარე დასძლევს ხოლმე და ასე გამოდის რომ ინგლისის სვე-ბედი იმ მესამეს, რიცხვით მცირე, დასზეა დამოკიდებული. ამისთანა დასი დღეს აგრედ წოდებული პარნელის დასია ინგლისის პარლამენტში, ესე იგი, ირლანდიელთა დასი, რომელსაც სულ 86 კაცი ჰყავს. ირლანდიელნი, როგორც მოგეხსენებათ, ინგლისისაგან ძალიან გულ-ნატკენები არიან და რა თქმა უნდა, ყოველს საქმეში, რაც გინდა ინგლისისათვის საკეთილო იყოს, ან ხელს შეუშლიან ხოლმე, რადგანაც წინააღმდეგ დასს მიუდგებიან, ან მიემხრობიან და უიმისოდ კი არა, რომ ირლანდიისათვის არა რაიმე არ დაათმობინონ. ერთმა დასმა, ვიგებისამ თუ ტორიებისამ, რაც უნდა ახალი საკეთილო და ინგლისის სახეირო კანონი და საქმე შეიტანოს პარლამენტში დასამტკიცებლად, თუ პარნელისტები როგორმე არ გადმოიბირა, იმედი უნდა დაჰკარგოს კანონის გაყვანისა. ეს გარემოება მით უფრო საფრთხილოა და საფიქრებელი, რომ 86 კაცი ირლანდიელი ინგლისის პარლამენტში ისე მოქმედებენ პარნელის ბრძანებისამებრ, როგორც ერთი კაცი.

გარდა მაგისა ესეც უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ რომელს დასსაც უნდა ეჭიროს სამინისტრო, ვიგები იქნებიან, თუ ტორიები, ინგლისში ისეთი შეურყეველი ჩვეულებაა, რომ თუ სამინისტროს კანონი და პროექტი არ მოუწონა პარლამენტმა და არ დაუმტკიცა, უნდა გადადგეს და სამინისტრო მეორე დასს დაუთმოს. ამ სახით გამოდის, რომ ინგლისის მინისტრის დამყენებელი და დამთხოვნელი თითქმის პარნელია, რომელიც ამისათვის თავის 86 ირლანდიელს დიდის ოსტატობითა ხმარობს. ამისი ცხადი მაგალითი ამას წინად იყო, როცა გლადსტონი იძულებულ გახდა გადამდგარიყო მინისტრობიდამ და სალისბერისათვის დაეთმო მინისტრობა და თვითონ სალისბერიც ამ ბოლოს დროს გადადგა მინისტრობიდამ და კვლავ მთავარ-მინისტრობა დაუთმო გლადსტონსა იმავე პარნელის მიზეზითა.

რა თქმა უნდა, ამისთანა ყოფას ვერ შეიშვნევდა დიდი ინგლისი; რა თქმა უნდა, ინგლისის უკეთესნი და შორ-მჭვრეტელნი კაცნი თავისის ქვეყნის სვე-ბედსა ასე ადვილად არ გახდიან სათამაშოდ 86 კაცის ხელში. აი იგი მიზეზი, აი იგი საბუთი, რომლის ძალითაც დიდმა გლადსტონმა, მოისურვა რა მიანიჭოს ირლანდიას საკუთარი პარლამენტი, საჭიროდ სცნა საერთო საიმპერიო პარლამენტში ხმა და წარმომადგენლობა აღარ მიეცა.

რადიკალი ჩამბერლენი, როგორც ვსთქვით, წინა აღუდგა უფრო ამ მხრით გლადსტონის პროექტსა, რადგანაც ამ პროექტმა მითამ მარტო დღევანდელს საჭიროებას ათაყვანა დედა-აზრი ლიბერალობისა. ამ მხრით ჩამბერლენი, ჩვენის ფიქრით, გასამტყუნარი არ არის და თვითონ გლადსტონიც ბოლოს დროს დაჰქვა ჩამბერლენის აზრსა და გამოაცხადა, რომ ირლანდიელებს შეიძლება მიენიჭოს უფლება იყოლიონ საერთო საიმპერიო პარლამენტში თავისი წარმომადგენელნი მხოლოდ იმ შემთხვევაში კი, როცა პარლამენტში გასარჩევი საქმე ირლანდიასაც შეეხებაო. ჩამბერლენი მაინც აღარ მიემხრო გლადსტონს. საკვირველი ეს არის, რომ გამოჩენილი რადიკალი ჩამბერლენი დღეს გლადსტონს გადუდგა და ცალკე დასის მოთავედ კი არ შეიქმნა, არამედ მიუდგა ზომიერს ლიბერალს გარტინგტონს და ზომიერს კონსერვატორს სალისბერის. ეს ცეცხლისა და წყლის ერთად შეყრა ყველას უკვირს და ჰფიქრობენ, რომ ჩამბერლენის, გარტინგტონის და სალისბერის ერთმანეთთან მო-

# ფელეტონი

## უცხოთა შორის

ინდოეთის და კოლონიების გამოფენა ლონდონში.—მნიშვნელობა ამ გამოფენისა.—გამოფენის გახსნის ამბავი.—პოეტი ტენისონი და მისი ლექსები.—რატო გლადსტონი არ დაესწრო?—მომღერალი პატტი და მის ცხოვრების აღწერა.—პირველი მისი გამოსვლა ლონდონსა და პარიჟშია.—მისი ქორწინება.—ნიკოლინის სიძულვილი.—პატტის მეორედ გათხოვება.—ბავარიის მეფის ვალები.

ლონდონში ეხლა გამოფენაა ყოველ-გვარ ხელოსნობისა და მოსავლისა ინდოეთის და ინგლისის კოლონიებისა. გაზეთი «Times»-ი დიდ-მნიშვნელობას აძლევს ამ გამოფენასა, და ამბობს, რომ რამდენიმე საუკუნეა რაც ინგლისში ამისთანა შესანიშნავი მოვლენა არა ყოფილაო. გამოფენა ესე გვიჩვენებსო ძალასა და პროგრესს ინგლისისასაო კაცობრიობის ისტორიაშიო. პირველი ალაგი უჭირავს, რასაკვირველია, ინდოეთის ნალვაწ-ნაშრომსა. გამოფენა გაჰხსნა დიდის ამბით თვით კოროლევა ვიქტორიამ, და ხალხმა ისეთის ალტაცებით მიიღო მოხუცებული დედოფალი, რომ რევოლუციონერებს სრულიად გული წაუხდათ, რადგანაც დარწმუნდნენ, რომ მათი აზრები ინგლისს ჯერ არ გასჯდომია ძვალ-რბილში. რამწამს დედოფლის ამალა შევიდა დარბაზში, მოისმა ჰიმნის გალობა; პირველი და უკანასკნელი ხანა ამ ჰიმნისა იგალობეს ინგლისურად, მეორე-კი—სანსკრიტულ ენაზედ. «გვირგვინოსანმა პოეტმა» **ლორდ ტენისონმა**, რომელიც კოროლევას ამალაში ირიცხება და სწერს ხოლმე დიდის შემთხვევისათვის ლექსებს, დასწერა გამოფენისათვის ოდა, რომელიც **არტიურ სულივანმა** მუსიკაზედ გადაიღო. გლადსტონი არ დასწრებია გამოფენაზედ ამ დღეს. როგორცა სჩანს, ინგლისის „პირველს მინისტრს" ვერაფრად მოსწონებია ტენისონის ლექსები, და ამბობენ, ვითომ ძალად მოიავად-მყოფა თავიო. ისიც თურმე ძალიან უკვირთ, რომ კოროლევა ვიქტორიას, რომელსაც წინედ წაუკითხავს ეს ლექსები, რამდენიმე ალაგი არ წაუშლია, რადგანაც ცოტაოდენ ეწინააღმდეგება გლადსტონის პოლიტიკას. ეს ოდა ოთხ ტაეპოვანია, და ყოველი ტაეპი თავდება ამ ლექსით: «ინგლისელებო! გაუფთხილდით მას, რაც გეკუთვნით!» მეოთხე ტაეპი ხომ პირ-და-პირ ირლანდიაზედ არის ნათქვამი. „ძმანო! ჩვენის საერთო დიდების შემდეგ, ნუ თუ უნდა ერთმანეთს გავშორდეთ? განა ერთნი არ უნდა ვიყვნეთ ბედსა და უბედობაში?... განა მთელი ინგლისის ხალხი არ მოგძახით: ძმანო გვქონდეს ერთი სული, ერთი გული, ერთი სიცოცხლე, ერთი დროშა, ერთი ფლოტი, ერთი ტახტი—ინგლისი!"

რასაკვირველია, თუ «გაღება» რისამე გინდა, გასაღები უნდა გქონდეს. ის გასაღები, რომლითაც კოროლევამ გამოფენის დარბაზი გააღო—ოქროსია, მშვენიერის თვლებით შემკული. ამ გასაღებით კოროლევას შეუძლიან ყოველთვის გააღოს სუყველა კარი დიდის **სუტ-კენსინგტონის** სასახლისა, სხვებმა-კი სხვა გასაღები უნდა იხმარონ.

* * *

ადელინა პატტი ეხლა ინგლისშია და მალე აპირობს ჯვარის-დაწერას ნიკოლინზედ. ვგონებ მეტი არ იქნება, რომ მოვიყვანოთ აქ ამ შესანიშნავის ქალის ცხოვრების აღწერა. ადელინა პატტი დაიბადა ესპანიაში 1843 წელსა; დედ-მამა იტალიანელები ჰყავნდა. ადელინას დედა თავის დროზედ კარგი მომღერალი ყოფილა. 1843 წელსა 18 თებერვალს იგი მღეროდა ოპერა „ნორმას", და ანაზდეულად უქეიფოდ შეიქნა. მღერა ძლივს გაათავა, და მაშინვე შინისკენ გამოსწია პატიოსანმა ქალმა თავის ქმრითურთ, და ერთის საათის შემდეგ ამ ცოლ-ქმართა სადგურში გაისმა ხმა ახლად შობილის ქალისა, რომელსაც ბედმა დიდი სახელი არგუნა ბოლოს. როგორცა ეხედავთ სცენა და სიმღერა ყოფილა პირველი ნანა პატარა ადელინასი. ჯერ თითქმის ბაშვი ოთხის წლისა არ იყო, რომ მღერა დაიწყო, და თითქმის მთელ ოპერას დამღეროდა, ანუ უსტვენდა პატარა პატტი; ისეთი მშვენიერი ხმა ჰქონდა, და მერვე წელიწადზედ ისეთი «რულადები» გამოჰყვანდა ადელინას, რომ ბევრ ნასწავლს მომღერალს გაუჭირდებოდა. ამ დროს ადელინას მამის საქმე ვერ მიდიოდა კარგად, და მან განიზრახა თავის ქალის ტალანტის მოხმარება ფულის მოსაგებად და ამისათვის დაუჭირა მას სიმღერის ოსტატები; მაგრამ ადელინას თავის დღეში არა სცოდნია თუ რა არის ნამდვილი შრომა სწავლისათვის: რაც სხვას ერთი წელიწადი მოუნდება, ეს ერთს წამსა სწავლობდა და ტყუილად კი არ ამბობს ხოლმე ეს ქალი, როცა ჰკითხამენ, თქვენი ოსტატი ვინ იყო, და ის უპასუხებს ხოლმე: «მაღალი ღმერთიო». რვა წლიდამ თორმეტამდე პატარა ადელინა საჯაროდა მღეროდა, წვრილ-წვრილ სამღერალთა გარდა ჰგალობდა ოპერებში „ნორმაში" და „სევილიელ დალაქში". ხშირად სიპატარის გამო სტოლზედ თურმე დასვამდნენ და ისე მღეროდა და თამაშობდა. თორმეტის წლიდგან თოთხმეტამდე პატტის არ უმღერია. შემდეგ „მოწვევა" მიიღო, როგორც დიდმა მომღერალმა და ეხლა სტოლის მაგიერად მართალ სცენაზედ თამაშობდა. ამ დროს ერთმა გამოჩენილმა ანტრეპრენიორმა ებრაელმა, სახელად **სტრაკოშ**, ადელინას უფროსი და ამალია შეირთო, თუმცა დედა წინააღმდეგი იყო, რადგანაც ებრაელნი ეჯავრებოდა. მეორე ანტრეპრენიორი აგრეთვე ებრაელი ულმანი სულ სხვა აზრისა იყო ადელინაზედ; მან გაიგონა ამის სიმღერა და გადასწყვიტა, რომ ამ პატარას ისეთი ხმა აქვსო, რომ ერთ წელიწადს არც კი გაუძლებს სიმღერასაო, ასე რომ არცკი მიიწვია თავის დასში. სტრაკოშმა ადელინა მთელი ჩრდილოეთისა და სამხრეთის ამერიკა მოატარა სადაც კონცერტებსა

თავსება ცხადი ნიშანია მისი, რომ დღეს ინგლისში გლადსტონს ებრძვიან დედა-აზრთა სახელით კი არა, არამედ პატივ-მოყვარეობა და ანგარიში კერძო პირთა. გარტინგტონმა ერთს კრებაზედ გამოაცხადა კიდეც, რომ თუ ვინიცობაა გლადსტონს ფეხი მოუსხლტა, მე ჩემის მეგობრებით (ჩამბერლენით და სალიუსბერით?) ვიკისრებ სამინისტროს შედგენასაო. შესაძლებელია ესეც მოხდეს, ხოლო გლადსტონი დარჩება მინისტრად, თუ არ დარჩება, მისი სახელი იმოდენის დიდებით შეიმოსება, რომ კაცობრიობას ყოველთვის თავმოსაწონებლად ეხსომება.

# ახალი ამბავი

⁂ ქალაქში მზემ სითბო მოიმატა და სიცხით შეწუხებულ ქალაქის მცხოვრებლებმა სოფლებში დაიწყეს საზაფხულოდ გახიზნვა.

⁂ ეს ორი დღეა არწრუნისეულს თეატრში არტისტის ჩარსკის წარმოდგენები იმართება. ეს დასი ერთს წარმოდგენას კიდევ გამართავს კვირას, 18 მაისს, ითამაშებენ „ჰამლეტს“ და შემდეგ ქუთაისში აპირობს გამგზავრებას. გუშინ-წინ პირველ წარმოდგენაზედ „მასკარადზე“ ძალიან ცოტა ხალხი დასწრებია. ამბობენ, რომ ჩარსკის გარდა სხვა წევრები დასისა არაფერნი არიანო და მხოლოდ ჩარსკის გულისათვის დაიარება ხალხიო.

⁂ ტფილისის „პირუტყვთა მფარველ საზოგადოებას“ განუზრახავს ორი საპირუტყვო სამკურნალო დაარსოს. ამ საქმეს ჩქარა მიჰყობენ ხელსაო.

⁂ ტფილისის სავაჭრო პოლიციის ზედამხედველს ბ-ნს ყორღანოვს კიდევ აღმოუჩენია უწესოება. კუკიის ხიდზედ, მირზოევის სახლებში მყოფ მოვაჭრეს გაბო ჰიჰინაძეს ჰქონია ქალაქისაგან ბეჭედ-დაუსმელი სასწორი და გირვანქიანები. ყორღანოვს უნდოდა თურმე დაებეჭდა, მაგრამ ჰიჰინაძემ არ მიუშვა და ძალაზედ დაუდგა, რის გამოც ყორღანოვმა პოლიციის ორის მოხელის თანა-დასწრებით შეადგინა ოქმი და ქალაქის გამგეობას გარდასცა, რომ კანონიერად დაისაჯოს გ. ჰიჰინაძე ყალბის სასწორისა და გირვანქიანების ხმარებისათვის.

⁂ თრიალეთზე ძალიან შეუწუხებიათ მეცხვარეები. ამ რამდენიმე წლის წინედ რომ ორსა და სამს მანათს ახდევინებდნენ საბალახეს ას სულ ცხვარზე, ეხლა თურმე შვიდსა და რვა მანათს არა სჯერდებიან.

⁂ ამ მაისის ცამეტს, ღამის ორ საათზე ბაქოს მატარებელს, რკინის გზის სადგურის პოილიდგან აქსტაფაში მიმავალს, ქვეშ მოჰყვა ათი ხარი და გასრისა.

⁂ ცხინვალიდგან მოუწერიათ: „მუშაობა ტელეგრაფით ცხინვალისა და გორის შესაერთებლად უკვე-გათავებულია და ტელეგრაფის ბოძები დამზადებულიაო. სატელეგრაფო სადგურიც ჩქარა გაიხსნებაო. ეს სადგური საზოგადოების შუამდგომლობით არსდება. საზოგადოებამ თითონ იკისრა ყველა ხარჯი გზისა სამის წლის განმავლობაშიო. საჭირო მუხის ხეები დაუთმიათ მუქთად თავად ფალავანდიშვილებს თავის საკუთარის ტყიდგან და ამ ხეების გარდატანა და დაწყობა იმ გლეხების ხარჯით იქნება, რომელნიც ტელეგრაფის სადგურების ახლო სცხოვრებენო. მაგრამ, საუბედუროდ, ამას წინედ მეხი ჩამოვარდა და სოფ. კარალეთს ახლო ოთხი ტელეგრაფის ბოძი წააქციაო. ამ მეხის ჩამოვარდნას გლეხები იმას აწერენ, რომ ღვთის წინააღმდეგ საქმისათვის, ღმერთი ჯავრობს და თავის რისხვას მეხის ჩამოგდებით ამჟღავნებსო.»

⁂ სოფ. ტირძნისიდგან მოუწერიათ: „სკოლა დაარსეს აქ ამ სოფლის პატრონისა და გორის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღვარის ბ-ნის სულხანოვის მეთაოებითაო. ამ ჟამად სულხანოვმა სკოლას ფიცრის სადგომი დაუთმო და ზაფხულში-კი განზრახვა აქვთ ქვითკირის შენობა აგონ საკუთრივ სკოლისათვისაო. სკოლაში უკვე დაიარება ოცამდე გლეხის-შვილი, რომელთან ერთად სწავლობს ორი ყმაწვილი თვით თავად-აზნაურობის წინამძღომელისაო. შეგირდებს ყველა საჭირო სასწავლო ნივთები აქვთ, ამავე სულხანოვის ხარჯით მოპოებულიო.“

⁂ იქიდგანვე გვწერენ, რომ თიანეთის სკოლას შემოდგომიდგან აღარა ჰყავს მასწავლებელი და მის ადგილას დარჩა მასწავლებელი-ქალი, რომელიც საქმეს ვერ უძლვება, მით უფრო, რომ ეს ქალი წინად უმეტესად ხელ-საქმეს ასწავლიდა და ეხლა კი მთელი სკოლა მას აბარიაო. ახლად უნდა შეაკეთონ სკოლის შენობა და განზრახვა აქვთ, რომ ათი ხევსურის ყმაწვილი მიიღონ პანსიონერად. როგორც წინად, ისა ეხლა ამ სკოლას სახელოსნო განყოფილებაც ექმნება. სამწუხაროდ, რამდენიმე წელიწადია, რაც თიანეთში ხელოსნობას აღარ ასწავლიან, რადგანაც სკოლის სახელოსნო იარაღებიც უმეტესი ნაწილი გაფუჭდაო. სკოლის სადგომის გადასაკეთებლად მთავრობას დაუნიშნავს ამ თავითვე 600 მ. მოკლე ხანში ამ ფრიად სასარგებლო საქმეს შეუდგებიან და კიდეც იმედია, რომ ჩქარა დაასრულებენ.

⁂ გაზ. „Терск. Вѣд.“-ი სწერს, რომ 9 მაისს, საღამოს 4 საათზედ ქ. ვლადიკავკავში მეხი დაეცა ერთს თექვსმეტის წლის მეცხვარე-ყმაწვილს, რომელიც მინდვრიდგან ძროხებს სახლში ერეკებოდაო. მეხი, როგორც ეტყობა, ზედ ქოჩორზე დასცემიაო. თმები თავზედ სულ შესტრუსვია, ფეხებზე და გულზე კანი გადასძრობია და ტანისამოსი სულ ნაკუწ-ნაკუწადა აქვს ქცეულიო. მეხის ჩამოვარდნის დროს მოკლულის წინ რამდენიმე ნაბიჯზე ერთი კაცი მიდიოდა და უკან კიდევ ორი ყმაწვილიო. ესენი ყოფილან მოწმად მეხის ჩამოვარდნისა და თვითონ არაფერი დაშავებიათო. მათის სიტყვით, მეხის ჩამოვარდნის დროს ყმაწვილი ერთბაშად აინთო თავით-ფეხამდე და შემდეგ უეცრად ძირს დაეცა მკვდარიო.

## ფოსტის გამცარცველთა საქმე

(დასასრული *)

სხვა-და-სხვა მოწამეთა-შორის, შემდეგ მოწამეთა ჩვენება იყო უფრო საყურადღებო:

**შაქარ ჭავჭავაძე.** 17 აგვისტოს დილის 11 საათზე ხუთმა ცხენოსანმა გაიარა სოფ. ჰოპორტზედ. ცხენოსანნი ტფილისისაკენ მიემგზავრებოდნენ. აქ უნდოდათ ორის შაურის ლურსმები ეყიდნათ ცხენების დასაჭედავად. მე ვნახე იქ აი ესენი, და მოწამემ ხელი მიიშვირა კერნოხაიზე, დოლოხოვზე, გაზოხოვზე და ოზიევზე. აბრიევი მე არ მინახავსო.

**ზურაბა ქეშიკაშვილი** (ფშაველი). მამასახლისმა გამოგვიცხადა, რომ ჩვენს ტყეში ავაზაკი ქისტები იმალებიანო და უნდა შევიპყრათო. მე ტყეში ვიყავი და დავინახე, რომ ერთი ქისტი მაყვალსა სჭამდა. მე და მოხა კურატაშვილმა დავიჭირეთ ეს ქისტი და თიანეთის მაზრის უფროსს წარვუდგინეთ. მე აი ეს დავიჭირეო, და მოწამემ მიიშვირა ხელი ალდემარ დოლოხოვზე.

**ყარო ქაშორაული.** ურიადნიკის ყაზბეგის ბრძანებით, მე, ვანომ და სხვა ჩვენებურებმა შევკარით გუდამაყრის ხეობის გზები. ჩვენ გვინდოდა, რომ ფოსტის გამცარცველი ქისტები გველეთში არ მიგვეშვა. ერთს ალაგას ტყეში მე დავინახე ორი ქისტი. ქისტებმა დამინახეს თუ არა, მაშინვე გაიქცნენ. მე დავუძახე ვანოს და სხვა ყარაულებს და დავიჭირეთ ქისტები. უწინვე დავუძახეთ, რომ თუ არ დაგვენებდებით, თოფებს გესვრითო. ქისტები ძალიან იყვნენ დაღლილნი, იარაღად ხანჯლები და დამბაჩები ჰქონდათ, შავი და ლურჯი ჩოხები ეცვათ. მე დავიჭირე გაზოხოვი და ოზიევი და ურიადნიკს იოსებ ყაზბეგს მიუყვანე.

დუშეთის მაზრის უფროსი **ჩეხოვსკოი** ამბობს, რომ გუბერნატორისაგანა და ტფილისის მაზრის უფროსისაგან მივიღე თუ არა დეპეშა ფოსტის გაცარცვის თაობაზედ, მაშინათვე ყოველივე საჭირო განკარგულება მოვახდინე, რადგან ვიფიქრე, რომ ამ საქმეში უთუოდ ქისტები იქმნებიან მეთქი ჩარეულნი. უმაგათოდ არავითარი ცუდი საქმე არ მოხდება ხოლმე დუშეთის მხრისაკენ. ქვეშეთის ბოქაულს მივწერე, რომ შეეტყო, რომელი გველეთელი არ იყო იმ დროს სახლში. ბოქაულმა შემატყობინა, რომ სამი კაცი არა სჩანს გველეთშიო. აღარ გაუვლია რამდენსამე ხანს, რომ ურიადნიკმა ყაზბეგმა წარმოადგინა ორი ავაზაკი ქისტი, გაზოხოვი და ოზიევი. გაზოხოვი და ოზიევი არ იყვნენ კეთილ-საიმედონი. გაზოხოვზე პოლიციას გუმანი ჰქონდა, რომ მონაწილე იყო ფოსტის გაცარცვისა ვლადიკავკავთან, ხოლო ოზიევი თავის სახლში ჰმალავდა დუშეთის მაზრის ორის ჩაფრის მკვლელებს. გველეთელებს, როგორც ყველა ქისტებს, ცარცვა და საქონლის ქურდობა ვაჟ-კაცობად მიაჩნიათ. გველეთელნი ჩეჩნის ტომისანი არიან და განცალკევებით სცხოვრებენ მათთვის უცხო ქართველთ შორის. ყველანი ერთმანერთს ძალიან ექომაგებიან. მათ შორის დამნაშავე თუ არის ვინმე, ძნელი აღმოსაჩენია. შეუძლებელია აგრეთვე გველეთელი გამოტყდეს დანაშაულში. ხოლო თუ მთავრობამ ძალა დაატანა, მთელი სოფელი კისრულობს დანაშაულსა.

ბრალდებულთ, თარჯიმნის შემწეობით, ჰკითხეს თავს-მჯდომარეს, რა ბრალი გვედებაო. თავს-მჯდომარემ აუხსნა, რომ თქვენ გბრალდებათ ავაზაკებრივი თავს დასხმა ფოსტაზე და მკვლელობაო.

*) იხ. „ივერია“ № 104.

---

მართავდა. ამ მოგზაურობამ კარგა ფული შესძინა ორსავე მხარესა და პატარა მომღერალს ხმა დაუვარდა. ორ წლის მოგზაურობის შემდეგ, სტრაკოშმა პატტი ლონდონში წაიყვანა, სადაც დიდ სახელმწიფო თეატრში უნდა ემღერნა. შემდეგი პირობა დაუდეს ახალგაზდა მომღერალს: თუ მოეწონა პუბლიკას თთვეში ას ორმოც-და-ათ თუმან მივცემთო და კვირაში ორჯელ უნდა იმღეროსო. თითო ღამის მღერაში მოსდიოდა 17 თუმანი. ეხლა ევროპაში როცა მღერის, ღამეში ხუთასს თუმანს აძლევენ და ამერიკაში ათას თუმანს!..

ბევრს ახსოვთ პატტის პირველი დებიუტი ლონდონის თეატრში. «სონანბულას» თამაშობდნენ და ცოტა ხალხი იყო დარბაზში. როდესაც პატტი გამოვიდა, ერთი ტაში არავის დაუკრავს. პირველის სიმღერის შემდეგ ხალხი განცვიფრებული დარჩა. «საიდგან მოვიდა ეს პატარა გოგოო, ამბობდნენ, ნუ თუ შესაძლებელიაო, რომ მის პატარა გულიდგან მაგოდენა ხმა ამოდიოდესო?... ვნახოთ შემდეგი როგორ იქნებაო...» შემდეგი სიმღერა უფრო-და უფრო მოეწონა ხალხსა და ტაშის კვრა ქუხილად გარდაიქცა. ანტრაქტში ანტრეპრენიორი ულოცავდა თავის ახალგაზდა პრიმადონნას გამარჯვებას და ახალ უკეთესს პირობებს უქადდა. ამ რიგად წაქეზებულმა პატტიმ უკანასკნელი კილო ოპერისა ისე ნაირად იმღერა, რომ მთლად ხალხი აღიტაცა. ამის შემდეგ პატტის საქმე გაიჩარხა და მისი სახელი მთელ ევროპაში განითქვა. ლონდონის შემდეგ პატტი მიიწვიეს პარიჟში. თუმცა ლონდონი პარიჟზედ ბევრად დიდია, მაგრამ რაიც შეეხება მუსიკას და მშვენიერ ხელოვნებას, საფრანგეთის ქალაქში უფრო ბევრი მოტრფიალე ჰყავს და მუსიკით და ხელოვნებით დაწინაურებულია. ვისაც პარიჟის ოპერის დიდ თეატრში არ უმღერია, ის გამოჩენილ მომღერლად არ ჩაითვლება; ერთის სიტყვით, პარიჟის თეატრი აძლევს მომღერალთ უპირატესობის დიპლომს. ეხლა კი, ლონდონის შემდეგ, «პარიჟის ოპერა» ხალხით გატენილი იყო პატტის პირველ გამოსვლის დროს. ინგლისელებს რომ მოეწონათ ეგ არაფერიაო, ამბობდნენ პარიჟელები, საქმე ის არის ჩვენ მოვიწონოთო, პირველ მოქმედებისვე შემდეგ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პატტიმ; ხალხი დიდ აღტაცებაში მოვიდა, და არ იცოდა რა სახელი დაერქმია ამ მშვენიერ ქალისათვის. როდესაც გამოჩენილს საფრანგეთის კომპოზიტორს ობერსა ჰკითხეს, როგორ მოგწონთო, მან წარმოსთქვა: «ნურასა მკითხამთო; მთელი საღამო გაყმაწვილებული ვიყავიო!» მიდიოდა დრო და პატტის დღითი დღე დიდება ემატებოდა. სახელ-მოხვეჭილნი კაცნი, მეფის შვილები, და მრავალ-გვარ გამოჩენილნი ახალ-გაზდანი ეძებდნენ ამ ქალთან დაკავშირებას. მაგრამ პატტი ხუმრობით გაიცლიდა ხოლმე თავიდამ ტრფიალთა. მას მოეწონა იმპერატრიცა ევგენის მეჯინიბეთ-უხუცესი, მარკიზი კო და შეირთო იგი. იმპერატრიცა მარკიზს დაჰპირდა, რომ მის ცოლს სასახლის ქალად აიყვანდა, მაგრამ კოს შეძლება არა ჰქონდა, და პატტიმ მღერას თავი ვერ დაანება. რამდენისამე ხნის შემდეგ პატტიმ რამდენისამე მილლიონის შეძლება იშოვნა. ცოლ-ქმარნი ვერ მოთავსდნენ ერთმანეთში და პატტიმ ერთი მილლიონი ფრანკი მისცა თავის ქმარს განსაქორწინებელი.

პატტი კარგად ეწყობოდა თვის სცენის ამხანაგებს; თუმცა ძალიან არავინ შეუყვარებია, მაგრამ არც-კი შესძულებია. თვით ამხანაგებსაც ძალიან უყვარდათ პატტი და თითქმის [illegible] მხოლოდ როდესაც პატტი ტენორ ნიკოლინის შეხვდა, ერთბაშად უმიზეზოდ შეიძულა. პატტი იქამდინ მივიდა, რომ პირობათა სდებდა, როდესაც იწვევდნენ, ნიკოლინი არ იყოს მომღერალთ დასშიაო. თუ წინად იყო ნიკოლინი მოწვეული, პატტი მასთან ერთ ოპერაში არა მღეროდა. ნიკოლინის ეს ძალიან სწყინდა......... განვიდა რამდენიმე წელიწადი (თუმცა უნდა ვსთქვათ, რომ პატტის დრო თითქო არ ერჩის, ვისაც პირველად 30 წლის წინად უნახავს და ეხლაც ხედავს, გვარწმუნებს, რომ იგი სრულიად არ გამოცვლილაო). განვიდა დრო..... და მომავალ 10 ივნისს ქორწილი იქნება პატტის და ნიკოლინისა!... როგორ მოხდა ეს საქმე, ღმერთმა უწყის!... თუმცა ჩვენი ხალხური ანდაზა ამბობს, რომ «კაცის გული ისეთია, ვით მორევი შავის ზღვისაო», მაგრამ ქალის გული უფრო... გიშრის ტბას ჰგავნებია!

⁂

დიდი ხანი არ არის, რაც საუბარი გვქონდა ბავარიის მეფე ლუდოვიკ მეორეზედ. ჩვენა ვსთქვით რამდენიმე სიტყვა მის ვალების გამო, და ეხლა საქმე იქამდის მისულა, რომ რეგენტობა უნდა დაუნიშნონ ხელმწიფეს ფულების ხარჯვისთვის. იგი თურმე ახირებულა იმაზედ, რომ თავის სრასასახლე უნდა ისე მოაწყოს, როგორც ვერსალის სასახლეა. კაბინეთი თურმე ორ მილლიონად დაუჯდა. ერთი ხომლი გაუკეთებია, რომელიცა ღირს ნახევარ მილლიონი მანათი. ეს სუყველა ხარჯი ჯერ გასწორებული არ არის. ამ ორის წლის წინედ, მისმა ბიძამ პრინცმა ლუიტპოლდმა სამი მილლიონი ვალი გადაუხადა და მეფემ სიტყვა მისცა, აღარ ავიღებ ვალებსაო, მაგრამ მაინც ვერ მოითმინა. როდესაც მისმა ბიძამ ლუდოვიკის ნახვა ისურვა, იგი არ შეუშვეს სასახლეში; პრინცი ძალად შევიდა და ლუდოვიკმა რომ დაინახა, ერთბაშად რაღაც პატარა საიდუმლო კარებში გაძვრა და ბიძამ ველარა ნახა.—ამ რამდენსამე წლის წინად ბავარიელებს ძალიან უყვარდათ თვის მეფე და იმ კაცს მოჰკლამდნენ, ვინც მათს ხელმწიფეზედ, «საყვარელ ლუდოვიკზედ» ცუდს იტყოდა რასმე... ეხლა სულ სხვაა.. ყველამ დაინახა, რომ მან თავის ფანტაზიისთვის მთელი მხარე დაღუპა. მისს ვალს დღეს შეადგენს ორმოცი მილლიონი მარკა *) და პარლამენტი უარზეა, ვერ გადავიხდით ამ ვალსაო, იგი კერძო ვალიაო ხელმწიფისა...

დონ ენ.

*) მარკა—სამი აბაზია.

სოფ. ჭარის მცხოვრებელმა კარახა თათარაშვილმა სთქვა, რომ ჩემთან გაათიეს ღამე ჩემმა ნაცნობებმა კერნოხაიმ და ალდემირმა და სამმა მათმა ამხანაგმა. ამ სამს მე არ ვიცნობდი. მაგათ მითხრეს, რომ თიანეთის მივდივართ სასამართლოშიო. აქ ვინც არიან, ყველა ეგენი იყვნენ ჩემთან, აბრიევის გარდაო. ამ მოწამეს წარუდგინეს თოფ-იარაღი ავაზაკების და მან იცნო, რომელი იარაღი რომლისა იყო.

თიანეთის მაზრის უფროსმა თ. ლევან ჯანდიერმა სთქვა, რომ დეპეშა მივიღე გუბერნატორისაგან და ავაზაკების დაჭერის თადარიგს შევუდექიო. ერთს ალაგს მე თვითონ ვნახე სამი ქისტიო და გამოვეკიდე ორის ჩაფრითა, მაგრამ ტყეში გადაგვეფარნენ. მერე შევიტყე რომ ქისტები პანკისისკენ წასულიყვნენ. თიანეთიდამ მე უკვე 70 ვერსზე ვიყავ. ერთს ალაგს ტყეს 50 კაცი შემოვარტყი, გავასინჯვინე ტყე და შიგ არავინ არ აღმოჩნდაო. ამის შემდეგ კერნოხაი მალე დაიჭირეს, ტოშა კოტიკოვი მოკლეს, რადგანაც არა ნებდებოდი დაჭერის დროს. ამათ შემდეგ დაიჭირეს ალდემირ დოლოხოვიც. კერნოხაის ჩვენება ჩამოვართვი და ყველაფერში გამოტყდაო.

რადგანაც კერნოხაიმ აბრიევიც დაიტანა, ეს უკანასკნელი მაშინათვე დავაჭერინე. აბრიევი ძალიან ავად იყო. ექიმს ვსთხოვე, ეწამლა მისთვის და ცოტაოდნად რომ მორჩა, ტფილისს გამოვგზავნე.

კარახა თათარაშვილზედ საიმისო ცუდის თქმა არა შემიძლიან-რა. ყველა ქისტი ავაზაკია და ეგეც არ უნდა იყოს წმინდა წყლისა. ქისტისათვის ხან-და-ხან ცხვრის დაკვლა უფრო ძნელია, ვიდრე კაცის მოკვლა. შურის-ძიება ძრიელ არის მათში გავრცელებული. შურსა ძიობენ ხან მესამე და მეოთხე მოდგმამდე. ქისტს ადვილად შეუძლიან დანაშაულში დაიტანოს უბრალო კაცი შურის ძიების გამოო. კერნოხაიმ რომ აბრიევი დაიტანა, მე მეგონა, რომ ამას არ შეეძლო მონაწილეობა მიეღო ფოსტის გაცარცვაში, იმიტომ—რომ მე აბრიევი ვნახე 18 აგვისტოს სოფ. მუსოში. მცხეთიდგან მუსომდე-კი 180 ვერსია.

კერნოხაიმ სთქვა, რომ მე არ მითქვამს ჯანდიერისათვის, ვითომ აბრიევიც ერია ფოსტის გაცარცვაშიო.

წაიკითხეს სხვა-და-სხვა საბუთები, სხვა-და-სხვა განაჩენები და საქმის შესახები ოქმები. გამოძიება ამით გათავდა და დაიწყო საკამათო ბაასი. პროკურორმა გოლმბლატმა წარმოსთქვა სიტყვა და ბრალსა სდებდა ყველა ხუთს ქისტს.

აბრიევის დამცველმა ტურკევიჩმა სთქვა, რომ ჩემის კლიენტის წინააღმდეგ არამც თუ არც ერთი საბუთი არ არის, არამედ სრულიად დამტკიცდა, რომ იგი უბრალოაო და ამიტომ ვსთხოვ სასამართლოს გაამართლოს აბრიევიო.

ნაფიცმა ვექილმა შევალიემ, დამცველმა ოთხის ბრალდებულისამ, წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც ორ ნაწილად განიყოფებოდა. პირველ ნაწილში საქმის ყოველივე ვითარება განმარტა კერნოხაისა და დოლოხოვის შესახები და სთქვა, რომ რაკი ბრალდებულნი თავად გამოსტყდნენ დანაშაულში, მე ვსთხოვ სასამართლოს სასჯელი შეუმსუბუქოსო. მეორე ნაწილში უარ-ჰყოფდა იმ საბუთებსა, რომელიც ოზიევისა და გაზოხოვის წინააღმდეგ იყო წარმოდგენილი. უკანასკნელის სიტყვის ნება მისცა სასამართლომ ბრალდებულთ, მერე ცალკე ოთახში შევიდა საქმის განსასჯელად და შუა-დღის უკან, $4\frac{1}{2}$ საათზე გამოიტანა განაჩენი, რომელიც ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან.

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზეთ „Недѣля"-ს არა ერთხელ გამოუთქვამს ის აზრი, რომ განათლებული ხალხი უნდა სოფელში დაბრუნდეს, ხალხს გვერდში ამოუდგეს და თავისის ცოდნით შველა მისცესო. განათლებული ხალხი მუდამ იმითი მართლულობს თავსა, რომ სხვა-და-სხვა ჩვენგან დამოუკიდებელნი გარემოებანი ხელს გვიშლიან და ნებას არ გვაძლევენ ხალხისთვის ვიმუშაოთო. ამ ნაირ თავის გამართლებაზე გაზეთი კარგ პასუხს იძლევა, არცხვენს განათლებულ ხალხსა და აი სხვათა შორის რას ამბობს:

„სხვა-და-სხვა გარემოება"—კარგი გასამართლებელი საბუთია იმ უსაქმურ კაცებისთვისაო, რომელთაც უფრო მოსწონთ გულ-ხელ დაკრეფილნი უსაქმოდ ისხდნენ, ვიდრე საქმეს შეუდგნენ და მუშაობით თავი შეიწუხონო. უნდა მართალი ვსთქვათ, რომ ჩვენი განათლებული საზოგადოება ძალიან ხერხიანად სარგებლობს ამ საბუთით. უჩვენეთ განათლებულ კაცსა რაიმე სასარგებლო საქმე უსაყვედუროთ, შეარცხვინეთ, რომ უქმად ატარებს დროსა, საქმეს ხელს არა ჰკიდებს,—გგონიათ, თქვენ იმაზე ზედ-მოქმედება იქონიოთ,—სრულიადაც არა: იმას პასუხი მზადა აქვს: „სხვა-და-სხვა გარემოება რომ ხელს არ მიშლიდეს, ამასა და ამას ვიქმოდი და გავაკეთებდიო, ამასა და ამას მოვაწყობდიო, მაგრამ რას იზამო, რომ ყოველ ნაბიჯზე ათას გვარი დაბრკოლება წინ გეხიდებაო!" აი როგორ იმართლებს თავს განათლებული კაცი თავის სინიდისს წინაშეო.

მართალია, „სხვა-და-სხვა გარემოებანი"—შესაწყნარებელი მიზეზია, მაგრამ გაზეთს მაინც არა სჯერა, რომ ეგ მიზეზი სრულიად ხელ-ფეხს უკრავდეს კაცს, თუ-კი მას გულ-მოდგინედა ჰსურს სოფელში იყოს და მუშაობდეს.

რაც უნდა ხელ-შემშლელი, დამაბრკოლებელი გარემოებანი ერტყას კაცს გარშემოვო, ამბობს გაზეთი, მაინც ვერ შეუძლიან სთქვას, რომ სრულებით არ შეიძლება საქვეყნოდ მუშაობაო. საზოგადო მოღვაწეს მხოლოდ იმის თქმა შეუძლიან, რომ ჩემს მოღვაწეობას ძალიან მცირე მოედანი უჭირავსო, ძალიან მცირედი მნიშვნელობა აქვსო.

მართლა და არაფერი თავის გასამართლებელი და შესაწყნარებელი საბუთია, როდესაც განათლებული კაცი თავის უქმობას, უსაქმობას იმით ამართლებს, რომ ფართო მოედანი არა მაქვსო სამუშაოდაო. სულ არარაობასა, ცალ-უღელი ხარი სჯობიაო, ამბობენ ჩვენში, — სჯობს კაცმა წვრილმანი საქმეებიდამ დაიწყოს და საზოგადოებას რაიმე სარგებლობა მოუტანოს, ვიდრე გულ-ხელ დაკრეფილი იჯდეს და ელოდეს, აცა, დიდი სასარგებლო საქმე გამოჩნდება და მუშაობას მაშინ შევუდგებიო.

* * *

გაზეთ „Новости"-ს მოჰყავს ერთ სახუმარო ნემეცურის ჟურნალიდამ რამდენიმე ახირებული აზრი, რომელიც თურმე ერთის მანდილოსნის კალამს ეკუთვნის. ამ პატივცემულ ფილოსოფოსს-მანდილოსანს ახირებით ჰყვარებია სხვა-და-სხვა უცნაური აზრები და აი სხვათა შორის თავის უკანასკნელ წერილში თურმე რა ღრმა მოსაზრება გამოუთქვამს.

ავიღოთ, მაგალითად, ხეო,—გვაუწყებს მანდილოსანი ფილოსოფოსი. ამაზედ მეტი უაზრობა გაგონილა ბუნებაშიო? ზამთარში, როდესაც სასტიკი სიცივეებია, საბრალო ხე შიშველ-ტიტველა დგას და სიცივისაგან კანკალებს, ზაფხულში კი, როდესაც ყველა სუბუქად იცვამს და სიცხეს ერიდება, ესევე ხე ისეთის ხშირის ფოთლითო, ისეთის თბილის დაბამბულის ტანისამოსით იმოსება ხოლმე, რომ სიცხისაგან საწყალს სული ეხუთებაო.

აგრეთვე დიდს უაზრობად, დიდს უსწორ-მასწორობად მიაჩნია მანდილოსან-ფილოსოფოსს ის გარემოება, რომ

მზე ისე ძრიელ აცხუნებს ზაფხულში, როდესაც უამისოდაც კაცს სული ვერ მოუბრუნებია სიცხისაგან, ზამთარში კი, როდესაც სიცივე და ყინვაა, თავის თანამდებობას სრულიად არ ასრულებსო, ტყუილ-უბრალო ხარჯში აგდებს კაცსაო, თბილ ტანისამოსსა და შეშაზედ ფულს ახარჯვინებსო. ეხლა ავიღოთ, თუ გინდ ყვავილებიო,—განაგრძობს იგივე ფილოსოფოსი. ზამთარში დღე არ გაივლის, რომ სადმე მდიდარი ბალი არ გაიმართოსო და განგებ გაკეთებულ ყვავილებზე აუარებელ ფულსა ჰყრიან, — სწორედ ზამთარში ყვავილი სრულიად გაჰქრება ხოლმე ბუნებაშიო; ზაფხულში კი, როდესაც აღარც ბალებია და აღარც სხვა ზამთრის სიამოვნება, მაშასადამე აღარც ყვავილებია საჭირო, ბუნება ახირებულ სიუხვეს გამოიჩენს ხოლმე და ყვავილს გაღარ აუხვალ, ფასი აღარა აქვსო.

სხვა კიდევ ბევრი ამ გვარი ფილოსოფიური აზრია განფანტული პატივცემულის მანდილოსნის წერილში. მანდილოსან-ფილოსოფოსს ჰსურს დაამტკიცოს ბუნების უაზრობა და უსწორ-მასწორობა...

ახირებული მანდილოსანი ყოფილა სწორედ: მეტად გამბედავი ფილოსოფოსი ბძანებულა.

---

## სათავად-აზნაურო სკოლის ანგარიში.

(დასასრული *)

პანსიონი. წარსულ სამოსწავლო წლიწადს, როგორც მოვიხსენიეთ შარშანდელს წლიურს ანგარიშში, პანსიონერების რიცხვი იყო სულ 51; აქედამ 20 იყო საზოგადოების სრულ ხარჯზე, 13—საზოგადოების ნახევარ ხარჯზე, ესე იგი შემოჰქონდათ საპანსიონერო ფული წლიწადში ათ-ათი თუმანი და დანარჩენნი 18-ნი იყვნენ თავიანთ ხარჯზე და შემოჰქონდათ საპანსიონერო ფული ოც-ოცი თუმანი. შემდეგ მოწაფეეთა გამოცდისა, წარსული წლის მაისის დამლევს და ენკენისთვის პირველ რიცხვებში, მეოთხე განყოფილებიდამ დაიჭირა ეგზამენი პირველ კლასსში გადასასვლელად რვა პანსიონერმა, საზოგადოების სრულ ხარჯზე მყოფმა და ხუთმა ათ თუმნიანმა; ამ მოწაფეებმა, სკოლაში მიღებულ წესისა ძალით, დაჰკარგეს საზოგადოების ხარჯზე პანსიონში ყოფნის უფლება და ამიტომ გაიხსნა სულ 13 ვაკანსია: 8 საზოგადოების ხარჯისა და 5 ათ თუმნიან პანსიონერისა. რადგან ხშირად გაისმოდა ხოლმე საყვედური საზოგადოების ზოგიერთა წევრთაგან, რომ ვითომც სათავად-აზნაურო სკოლის პანსიონში იზრდებიან უფრო იმ მაზრების თავად-აზნაურთა შვილები, რომელნიც ახლო არიან რკინის გზაზე და სხვა მაზრებიდამ კი, რომელნიც მოშორებით არიან ქალაქზე, მაგალითად, სიღნაღისა და თელავისა, მალიან ნაკლებად, ამიტომ გამგე კომიტეტმა, რომ მოესპო ყოველი მიზეზი უკმაყოფილებისა, გაანაწილა ვაკანსიები მიხედვით იმ მონაწილეობისა, რომელიც თვითეულს მაზრას აქვს მიღებული სათავად-აზნაურო ბანკის დაფუძნებაში, რადგან მოხსენებული ბანკი შეადგენს უმთავრესს წყაროს სკოლის არსებობისას. ამ ნაირად სიღნაღის მაზრას ერგო—3 ვაკანსია საზოგადოების სრულ ხარჯისა და 2—ნახევარ ხარჯისა; თელავისას 2 ვაკანსია სრულ ხარჯისა და ერთი ნახევარ ხარჯისა, გორისას—2 სრულ ხარჯისა და ერთი ნახევარ ხარჯისა, დუშეთისას და ტფილისისას ერთად-ერთი სრულ ხარჯისა და ერთი ნახევარ ხარჯისა. ეს განაწილება გამგე კომიტეტმა თავის დროზედ გამოაცხადა საქვეყნოდ გაზეთებში და გარდა ამისა შეატყობინა მაზრების მარშლებს. წარსული წლის პირველს ენკენისთვემდის კომიტეტს მოუვიდა თხოვნა სულ 149 მოწაფისა; ამათგან 20 ითხოვდა პანსიონში მიღებას საზოგადოების ნახევარ ხარჯზე და დანარჩენი 129 საზოგადოების სრულ ხარჯზე: სიღნაღის მაზრიდამ—13, თელავის მაზრიდამაც—13, დუშეთის და ტფილისის მაზრებიდამ ერთად 27 და გორის მაზრიდამ—76. შემდეგ ამ თხოვნებისა და დოკუმენტების განხილვისა და მოწაფეთა მშობლების გარემოებათა გამოკვლევისა კომიტეტმა შეიწყნარა თხოვნა სულ 95 მოწაფისა და დაინახა კენჭის ყრის ღირსად. საზოგადოების ნახევარ ხარჯზე—20 და საზოგადოების სრულ ხარჯზე—75: 7—სიღნაღის მაზრიდამ, 8—თელავის მაზრიდამ, 16—ტფილისის და დუშეთისა და 44 გორის მაზრიდამ. 3 ენკენისთვეს კომიტეტმა უყარა კენჭი მოხსენებულ მოწაფეთა ცალ-ცალკე, მაზრებად და ყველანი, ვისაც კი ერგო კენჭი, მიღებულ იქმნენ პანსიონში, გარდა ერთი ყმაწვილისა, თელავის მაზრიდამ, რომელმაც ვერ დაიჭირა ეგზამენი წლოვანობის შესაფერ კლასსში და ამიტომ უარი ეთქვა მიღებაზე. ამ უკანასკნელის სამაგიეროდ, თელავის მაზრის მარშლის თხოვნით, კომიტეტმა მიიღო უკენჭოდ თელავის მაზრისავე უღარიბესი ყმაწვილი. რაც შეეხება ათ თუმნიან პანსიონერებს, გამგე კომიტეტმა მოხსენებულ ხუთს ვაკანსიას მოუმატა კიდევ თხუთმეტი და ყველა ის 20 მოწაფე, რომელიც კომიტეტმა იცნა ღირსად, მიიღო პანსიონში უკენჭოდ. ყველა ეს მიღებულნი მოწაფეები, როგორც საზოგადოების სრულ ხარჯზე, ისე ნახევარ ხარჯზე, ეკუთვნიან თავად-აზნაურთა წოდებას. თავიანთ ხარჯზე პანსიონში მიღება ითხოვეს ექვსმა და ყველანი მიღებულ იქმნენ უკენჭოდ. ამ ნაირად წელს პანსიონში სცხოვრობდა სულ 66 მოწაფე. წლის განმავლობაში პანსიონს და სრულიად სკოლას დაანებეს თავი 2 პანსიონერმა: ერთმა იანვრის წინად და მეორემ იანვრის შემდეგ; ამას გარდა ამ წლის მარტში გარდაიცვალა, როგორც ვსთქვით წინად, ერთი პანსიონერი. ამ ჟამად პანსიონში ირიცხება სულ 63 მოწაფე, ამათგან 21—საზოგადოების სრულ ხარჯზე, 27—საზოგადოების ნახევარ ხარჯზე და 15—თავიანთ ხარჯზე. პანსიონერებისაგან უნდა შემოსულიყო წელს საპანსიონერო ფული სულ 5925 მან., მაგრამ შემოვიდა 3951 მან. 12 კაპ.; დარჩა მათზე ვალად 1973 მან. 88 კ.

როგორც მოვიხსენიეთ შარშანდელ ანგარიშში, წარსული წლების ვალი პანსიონერების მშობლებზე იყო სულ 4653 მან. 86 კ.: ამ ვალიდამ წელს შემოვიდა 1416 მან. 6 კაპ., დარჩა 3237 მან. 80 კაპ., წლევანდელ ვალით ერთად 5211 მან 68 კაპ.—პანსიონერების სმა-ჭამა, ჩაცმა-დახურვა და ჰიგიენური მდგომარეობა თუმცა იმ ნაირივე იყო, როგორც წარსულ წლებში, მაგრამ წელს პანსიონში არა სუფევდა უწინდელივით სისაღე და ჯან-მრთელობა. ჯერ წარსულ წლის მაისში გაჩნდა სკოლაში და პანსიონში წითელა, რომელიც მოკლე ხანში ისე გაძლიერდა, რომ გამგე კომიტეტი იძულებული იყო აეჩქარებინა მოწაფეების დათხოვნა; წითელა იხადა 13-მა პანსიონერმა. შემდეგ იგივე წითელა გაჩნდა ენკენისთვეში და იხადა კიდევ ოთხმა პანსიონერმა, თუმცა კი უწინდელზე ადვილად. გარდა ამისა მძიმედ იყო ავად მუცლის სახადით (ტიფით) ერთი მოწაფე, რომელიც ძლივ-ძლივობით გამობრუნდა; ბოლოს ამ მარტში გახდა ავად ერთი პანსიონერი ტვინის ანთებითა, რომელსაც ავად-მყოფმა ვერ გაუძლო და გარდაიცვალა სოფელში, სადაც ის მამამ ავად-მყოფი წაიყვანეს.

როგორც იყო მოხსენებული შარშანდელ წლიურ ანგარიშში, ფულით შემწეობა ეძლეოდა შარშან 43 მოწაფეს და ამ საგანზე იხარჯებოდა თვეში 305 მან. ეს ხარჯი წელს გამგე კომიტეტმა, ფულების ნაკლებობისა გამო, რაც კი შეიძლებოდა, შეამცირა და ვისაც შარშან თთვეში თუმანი ეძლეოდა, დაუნიშნა ხუთი მანათი და ვისაც 6 მან. ეძლეოდა, 3 მანათად გაუხადა; ამ ნაირად წელს გამგე კომიტეტი 18 მოწაფეს აძლევდა თთვეში ხუთ-ხუთ მანათსა, 29 სამ-სამ მანათს და ერთს—ორ მანათს; სულ ამ საგანზე იხარჯებოდა თთვეში 179 მან.

ამით ათავებს გამგე კომიტეტი წლის ანგარიშს და ვალდებულად რაცხს თავის თავს მოახსენოს საზოგადო კრებას ზოგიერთი თავისი მოსაზრება მომავალ გამგე კომიტეტის საყურადღებოდ:

ა) როგორც ანგარიშში მოხსენებულ-თა, ამ წლიწადს პროგიმნაზიურ მეოთხე კლასსში სწავლობს 10 ყმაწვილი. ამათგან შვიდს მაინც შეეძლება მეხუთე კლასსში სწავლა. რადგანაც ნამდვილად ცნობილია, რომ სახელმწიფო სასწავლებლების მეხუთე კლასსებში შესვლა აგრერიგად ადვილი არ არის და ადვილად შეიძლება, რომ ჩვენი სკოლის მოწაფენი სასწავლებლების გარეშე დარჩნენ, ამიტომ აუცილებელ საჭიროებად ხედავს კომიტეტი, რომ ჩვენ სკოლას მოემატოს ენკენისთვიდამ მეხუთე კლასი.

ბ) რამდენიმე წლის გამოცდილებამ ცხადად დაანახვა გამგე კომიტეტს, რომ სწავლის უკეთესად მსვლელობისათვის და წარმატებისათვის დიდად საჭიროა მომავალში სკოლას ჰყავდეს მუდმივი მასწავლებლები პროგიმნაზიულ კლასსებშიაც; თუ ყველა საგნებისათვის არა, ზოგიერთისთვის მაინც; უამისოდ სკოლა ძრიელ ხშირად იძულებული იქმნება უკეთესი დრო—დილის საათები—მოსამზადებელ სუბუქ საგნების სწავლას, მეხუთე და მეექსე საათები კი მძიმე საგნებს, რადგანაც მოწვეულ მასწავლებლებს იშვიათად აქვსთ ხოლმე თავისუფალი დრო დილით.

გ) ინსპექტორის თანამდებობა სათავად-აზნაურო სკოლაში შექმნა ამ ბო-

*) იხ. «ივერია» 1886 წ. № 104.

ლის დროს ძრიელ რთული. ინსპექტორი განაგებს ამ ჟამად ოთხს მოსამზადებელს განყოფილებას და ოთხს პროგიმნაზიურ კლასს; ეგზამინისთვიდამ იქნება ამ კლასებს მეხუთე კლასიც მოემატოს. ამას გარდა ინსპექტორის ხელშია პანსიონიც, სადაც, როგორც ანგარიშიდამ სჩანს, 63 პანსიონერია. რომ სკოლის საქმე უკეთესად წავიდეს და ინსპექტორი სულ ამის წარმატებაზე ზრუნავდეს, საჭიროდ ხედავს გამგე კომიტეტი მომავალში სხვა პირს ჩაბარდეს პანსიონი და ინსპექტორს ჰქონდეს მანდობილი მხოლოდ საზოგადო თვალ-ყურის დაჭერა პანსიონზე.

კომიტეტის თავ-მჯდომარე კონსტანტინე მამაცოვი.

წევრები: თ. ალ. ჩოლოყაშვილი. იაკობ გოგებაშვილი. ნიკოლოზ ცხვედაძე. ივ. გამყრელიძე.

# დეპეშა

14 მაისს

მოსკოვი. მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა უგუსტოესის სახლობითურთ მობრძანდნენ მოსკოვს დილის 10 საათზედ. მათ უდიდებულესობათა მოგზაურობის დროს ნიკოლაევიდამ მოსკოვამდე სახლხი მრავლად იკრიბებოდა რკინის გზის ლიანდაგის აქეთ-იქით და აღტაცებით უცხადებდა თავის უქვეშევრდომებურს გრძნობას. მოსკოველებიც დიდის სიხარულით მიეგებნენ მათ უდიდებულესობათ. მათი უდიდებულესობანი იკერიის ღვთის-მშობლის ხატის ნიშისაკენ გაემართნენ, მოიხმინეს მოკლე პარაკლისი და ემთხვივნენ სასწაულთ მოქმედს ხატს; შემდეგ წაბრძანდნენ კრემლის დიდს სასახლეში. შუა დღისას ჩვეულებრივის ამბით და ყოფით გვირგვინოსანნი და ამაღა წაბრძანდნენ ღვთის-მშობლის მიძინების ტაძარში. გიორგიევის დარბაზში მოსკოვის ქალაქის თავმა ალექსეევმა ხაზჭის წევრთა თანა ერთად მართვა მათ უდიდებულესობათ პურ-მარილი და ხელმწიფეს შემდეგი მოახსენა: ხაუკეთესოთ (წოდებათა მიუხედავა) ხაზჭო პირველ-სამეუფო ქალაქის მოსკოვისა თავს იხრის ფერხთა შენთა წინაშე, ოვით მპყრობელო ხელმწიფევ. მიიღე ჩვენი პურ-მარილი; მიიღე ჩვენი სიყვარული და ირწმუნე, რომ გვახარის ხილვა შენი, ხელმწიფე დედოფლისა და ხელმწიფე ცესარევიჩისა. შენ მოგვევლინე ჩვენ კურთხეულის სამხრეთიდამ. შენ დაუბრუნე სიცოცხლე შავს ზღვას. ფრთა ესხმის ჩვენს იმედს და სიმტკიცე ეძლევა ჩვენს რწმენას, რომ ჯვარი ქრისტესი განრწყინდება წმ. სოფიის ტაძარზე. ამ აზრისაა მოსკოვი და ამას ემედოვნებს." ამაზე ხელმწიფემ ბრძანა, რომ მე მიყვარს მოსკოველნი და მიხარიან, რომ სწორედ იმ დღეებში ვარ აქ, რა დღეებშიაც უწმინდაესი კურთხევა ჩემის გვირგვინისა მოხდავა. ის დღენი უკეთესნი სახსოვარნი არიან ჩემნიო. გიორგიევსკის დარბაზშივე ხელმწიფემ ინება და მიიღო პურ-მარილი პავლოვსკის დაბისა და რუზა ქალაქისაგან. ვლადიმირის ზალაში მიიღო პურ-მარილი მოქალაქეთა საზოგადოებისაგან და რავოჟსკისა და პრეობრაჟენსკის მგელის მომდვრების სამდლი სახლთაგან, ხოლო ხელოსანთა წოდებისაგან მიიღო ხატი ფრაყის ნახატობისა. როცა ღვთის-მშობლის მიძინების ტაძარში შებრძანდნენ. მათი უდიდებულესობანი და ხალხის „ურა“ და ზარების რეკა ერთმანეთში შეირივნენ, მოსკოვის მიტროპოლიტი მიეგება და სიტყვა მოახსენა და სთქვა, რომ ხელმწიფე სამხრეთისაკენ გასართობად კი არ გაემგზავრაო, არამედ იმიტომ—რომ საქმით შესრულებულიყო გულითადი სურვილი ერთ-მთავრისა და სრულიად რუსეთის ერისაო. „შავის ზღვის თავ-განწირული ფლოტი, ბრძანა მიტროპოლიტმა, იმსხვერპლა პორტ-ევქსინის ზვირთებმაო, როცა სამშობლოს დიდი განსაცდელი დაადგაო და დღეს შენის უძლეველის ნებით აღდგენილი ფლოტი კვლავ მოწოდებულ იქმნა წინანდებურის ბრწყინვალე სიცოცხლისათვისაო. შემდეგ სთქვა, რომ ეს ამბავი გამოუთქმელის სიხარულით აღავსებს ხელმწიფის მილიონ ქვეშევრდომთა გულსაო და მეტადრე უფრო პირველ-სამეუფო ქალაქშიო, მივეგებებით სალამით თქვენს მობრძანებას მოსკოვშიო, ერთგული ქვეშევრდომი ერი გამოუთქმელის სიხარულით და აღტაცებით მიეგება თავის ხელმწიფეს და გულით ევედრება მეფეთა-მეფეს, რათა მან წარუმართოს ხელი ყოველს კეთილს საქმეს ხელმწიფისას სადიდებლად და განსადიდებლად რუსეთისა. მათ უდიდებულესობათ ილოცეს ღვთის-მშობლის მიძინების ტაძარსა და ჩუდოვის მონასტერში და დაბრუნდნენ კრემლის სასახლეში. ხალხი აღტაცებით ამღვდა სალამს გვირგვინოსანთ. სადილის შემდეგ მათ უდიდებულესობათა დაათვალიერეს აღსაზრდელი სახლი და ობოლთა ინსტიტუტი ნიკოლოზისა. სადამოზედ კრემლის დიდს სასახლეში სადილი იყო გამართული და სადილზედ მიწვეულნიც ბევრნი იყვნენ. სამეუფო ქალაქი მშვენივრად იყო გაჩირაღდებული.

პეტერბურგი. კრონშტადტს ბანკის საქმის გამო ბრალდებულნი გაამართლეს.

მოსკოვი. დღეს პარადი იყო ჯარისა თეატრის მოედანზე მათ უდიდებულესობათა თანადასწრებით. პარადში მონაწილეობა მიიღო 9 ბატალიონმა ქვეითის ჯარისამ და 2 ცხენოსანისამ. ზარბაზანი 32 იყო.

ხარკოვი. სასამართლო პალატამ განიხილა ბოროტ-მოქმედებათა საქმე ბელგოროდის საზოგადო ბანკისა და სიყალბეში ნაფიცთა მსაჯულთაგან დამნაშავედ ცნობილს ბანკის დირექტორად ნამყოფს სავაჭრო მოქალაქეს ნიკიტინს განუჩინა: აესადოს ყოველივე უფლება და უპირატესობა და ტობოლსკის გუბერნიაში გაიგზავნოსო; ამხანაგები-კი დირექტორისა სელივანოვი და კანაკოვი გაამართლეს.

პარიჟი. სამხედრო მინისტრმა კანონ-პროექტი შეიტანა პალატაში ჯარის მოწყობის თაობაზე. კანონ-პროექტი ითხოვს, რომ ჯარს მოემატოს ხალხი.

პრინცების განდევნის თაობაზედ ჯერ გადაწყვეტილი არაფერი არა დაუდგენიათ-რა.

ათინა. ტრიკუპისმა აუწყა პალატას, რომ ოსმალოსა და საბერძნეთის ჯარი დაბრუნდა სამზღვარიდამაო და ამასთანავე გაცნობებთ, რა განკარგულებაც არის მიღებული, რომ ჯარს თოფ-იარაღი აეყაროსო.

ვენა. გაზ. „პოლიტიკის კორრესპონდენცია“ ამბობს: ინგლისის კაბინეტი მაღლ დაიწყობს ბასს იმაზე, რომ საბერძნეთის ნაპირებს ახსნან ალყა ერთა-შორის ის ხომალდებისაო.

ათინა. კოროლი წაბრძანდება კორფის კუნძულზეო, ხოლო შემდეგ სამზღვარ გარედ გაემგზავრებაო.

15 მაისს

პეტერბურგი. «Новое время» ამბობს, რომ ივნისში სამზვარ გარეთის ღვინოებს ბაჟი მოემატება 25%-მდეო.

მოსკოვი. გუშინ პარადის დაწყობამდე პურ-მარილი მიართვეს მემკვიდრე ცესარევიჩს დეპუტაციებმა სელოსანთა საზოგადოებისამ და იმ მგელის მომდვრების მწყალებელთა, რომელნიც არ უარჰყოფენ მღვდელობასა. დილით მათ იმპერატორებით უდიდებულესობათა ინებეს და დაათვალიერეს ეკატერინასი და ალექსანდრეს ინსტიტუტები და მარიამის სასავად-მყოფო. 7½ საათზე ალექსანდრეს დარბაზში მომზადებული იყო სადილი 160 კაცისათვის, სადილად ბრძანდებოდა მიტროპოლიტი იოანიკე. სადილის შემდეგ მათ უდიდებულესობათა ინებეს და სადამოს გასატარებლად გენერალ გუბერნატორთან წაბრძანდნენ.

სოფია. 45 ამორჩეულ დეპუტატში 41 მთავრობის მომხრეა. 16 საარჩევანო ოლქში მომავალ კვირას ხელ-მეორედ უნდა კენჭის ყრა იყოს.

პარიჟი. პარლამენტის საბიუჯეტო კომისიის უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ გაუქმებულ იქმნას ბიუჯეტი სარწმუნოებათათვის.

საფრანგეთის ელჩი ათინისა ხვალ ხელ-ახლად დაუბრუნდება თავის თანამდებობას.

პეტერბურგი. პეტერბურგმა დიდის ამბით იდღესასწაულა დღეობა მათ იმპერატორებით უდიდებულესობათა გვირგვინის უწმინდაესის კურთხევისა. ყოველ-მხრიდამ დეპეშები მოდის დღევანდელის დღესასწაულის გამო.

მოსკოვი. მოსკოვის გენერალ-გუბერნატორს თავადს დოლგორუკოვს ებოძა უმაღლესის რესკრიპტით ბრილიანტების ნიშნები წმ. ანდრია პირველ-წოდებულის ორდენისა.

მერვი. სამზღვრების გამმიჯნელი კომისიები კვლავ მუშაობენ მურღაბიდამ დუღჩისჭის მერიდიანამდე.

ათინა. ბრაიტანის საერო კრების წევრთ კერძო ყრილობაზე გადასწყვიტეს ხმის უმეტესობით, რომ ჩვენ გვსურს შევუერთდეთ საბერძნეთსაო.

პარიჟი. სამინისტროს მიერ შედგენილი კანონ-პროექტი პრინცების შესახები ნებას აძლევს შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ უკეთუ საჭიროდ დაინახავს, აუკრძალოს პრინცებს საფრანგეთში ყოფნა.

კატანია. ფრქვევა ეტნისა ძლიერდება. ნაცარტუტმა დაჰფარა სოფელი ნიკოლაზი, რომელსაც ხალხი გაუგზავნეს მისაშველებლად.

16 მაისს

მოსკოვი. გუშინ დილას მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი და უმაღლესობანი დაესწრნენ ღვთის-შობლის მიძინების ტაძარში დიდის ამბითა და ყოფით გარდახდილს პარაკლისს მიტროპოლიტის იოანიკეს მიერ უმაღლესის სამღვდელოების კრებულითურთ. პარაკლისის შემდეგ მათი უდიდებულესობანი წარემართნენ არხანგელსკის ტაძრისაკენ. წინ მიუძღოდნენ მგალობელნი და სამღვდელოება, ზარების რეკა და ზარბაზნების სროლა დიდი იყო; ხალხი ერთხმად „ურას“ იძახოდა. არხანგელსკის ტაძარში მათი უდიდებულესობანი ემთხვივნენ ხატებს. არხანგელსკის ტაძრიდამ მათი უდიდებულესობანი, სამღვდელოების წინ წაძღოლით, დაბრუნდნენ სასახლეში «კრასნოე კრილცოს» გზით. ამ კრილცოს ზემო აივანიდამ მოწყალედ ინებეს და თავი დაუკრეს ხალხს. საუზმის შემდეგ მათ უდიდებულესობათა ინებეს და დაათვალიერეს უნივერსიტეტი, იქ დაესწრნენ სტუდენტების კონცერტს. სტუდენტები აღტაცებით მიეგებნენ და აღტაცებითვე გამოაცილეს მათი უდიდებულესობანი. შემდეგ მათ უდიდებულესობათა ინახულეს ლიცეი ცესარევიჩის ნიკოლოზისა, სადაც მიეგებნენ გენერალ-გუბერნატორი და დირექტორი ლიცეისა კატკოვი. მოწაფენი მწკრივად იდგნენ კიბეზედ ორ-პირად, აქედ იქით და გზას ჰფენდნენ ყვავილებით. მათ უდიდებულესობათა და უმაღლესობათა ინახულეს კიდევ მოქალაქეთა სასწავლებელი და შემდეგ გაემგზავრნენ „ტროიკებით“ სადილად კუსკოვოს—გრაფის შერემეტიევის მამულში.

«Новое Время» გვაუწყებს, რომ გარეშე საქმეთა მინისტრი დიდის ხნით დათხოვნილ იქმნება და წავა სამზღვარს გარედ ივნისის შუა რიცხვებშიო.

ლონდონი. ლიბერალთ დასის კრებაზე გლადსტონმა სთქვა, რომ თანახმა ვარ ირლანდიის კანონ-პროექტს ჩავურთო მუხლიო, რომლის ძალითაც ირლანდიელ დეპუტატებს შეეძლებათ ბრიტანიის პარლამენტში მონაწილეობა მიიღონ არა მარტო ხარჯის გაწერის გამო, არამედ საერთო—სახელმწიფო საგნების გამოცაო.

პარიჟი. როცა პალატაში შეიტანეს კანონ-პროექტი პრინცების თაობაზე, შინაგან საქმეთა მინისტრმა სთქვა, რომ ჩვენი იმედი, ვითომ პრინცები პატივისცემით მოეპყრობოდნენ სარესპუბლიკო დაწესებულებათა, არ გამართლდაო, პირ-იქით, ცხადი შეიქმნა, რომ მზად არიან ყოველ შემთხვევაში მუქარა გაუწიონ რესპუბლიკას. მინისტრის სიტყვებმა წინააღმდეგობა გამოიწვია მემარჯვენეთაგან. პალატამ ცალკე კომისიას გარდასცა განსახილველად პრინცების შესახები კანონ-პროექტი და წინადადება ბასლისა. ბასლი ითხოვს რომ პრინცების მამულები სახაზინოდ შეირიცხოს და შესდგეს თავნი მოხუცებულთა საპატრონოდაო.

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩუპვ (1886) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი — უოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები – 3.

ამაღლება—22 მაისს, სულის-წმიდის მოსვლა—1 ივნისს, ამავ თთვის 9-დამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს 2 კვირით და 6 დღით არის.

### მაისი 31 დღით არის

